პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 94 (1264) ○ ხუთშაბათი, 7 აგვისტო, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

სურათზე: ბაშკირელი სპორტის ოსტატი ვ. ჩიკიშევი, რომელმაც სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ სრულიად რუსეთის სპარტაკიადაზე აჭიმვაში აჩვენა შედეგი 138,5 კგ, რაც აღემატება რ. ხაბუტდინოვის მსოფლიო რეკორდს.

ფოტო ო. იარჩევსკისა.

მშვიდობის ველორბოლის ჯრასა დამჯკიცდა

ამას წინათ ბერლინში შედგა XII მშვ. დობის ველორბოლის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა, სადაც მონაწილეობდნენ ამ საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრების ორგანიზატორი გაზეთების — „ნეიეს დოიჩლანდის“ (გდრ), „რუდე პრავოს“ (ჩეხოსლოვაკია), „ტრიბუნა ლიუდუს“ (პოლონეთი) და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დამტკიცდა მშვიდობის ველორბოლის ჩატარების ვადა და მარშრუტი. იგი დაიწყება 1958 წლის 2 მაისს და გაგრძელდება 15 დღე. ველორბოლის ტრასა შედგება 13 ეტაპისაგან: 1. ბერლინის გარშემო, 2. ბერლინი-მაგდებურგი, 3. მაგდებურგი-ლაიპციგი, 4. ლეიპციგი-კარლ-მარქს-შტადტი, 5. კარლ-მარქს-შტადტი-კარლოვი ვარი, 6. კარლოვი ვარი-პრაღა, 7. პრაღა-ბრნო, 8. ბრნო-გოტვალდი, 9. გოტვალდი-ოსტრავა, 10. ოსტრავა-კრაკოვი, 11. კრაკოვი-კოტოვიცე, 12. კოტოვიცე-ლოძი, 13. ლოძი-ვარშავა.

ევროპის პირველობა ფრენგბურთში

მალე პრაღაში დაიწყება ევროპის პირველობის გათამაშება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობენ კონტინენტის ჭალთა და ვაჟთა უძლიერესი გუნდები. უკვე შედგა კენჭისყრა და გუნდები თავიანთ ჯგუფებში ასე განლაგდნენ. ვაჟები. „ა“ ჯგუფი — ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, გდრ, გფრ, ტუნისი; „ბ“ ჯგუფი — რუმინეთი, უნგრეთი, ბელგია, ჰოლანდია, იტალია. „გ“ ჯგუფი — ბულგარეთი, პოლონეთი, დანია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა; „დ“ ჯგუფი — სსრ კავშირი, იუგოსლავია, ალბანეთი, თურქეთი, ავსტრია, ქალები. „ა“ ჯგუფი — ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, გდრ; „ბ“ ჯგუფი — სსრ კავშირი, იუგოსლავია, გფრ; „გ“ ჯგუფი — პოლონეთი, უნგრეთი, ჰოლანდია; „დ“ ჯგუფი — რუმინეთი, ბულგარეთი, ფინეთი, ავსტრია.

ფრანგი ალპინისტები იალგუჯზე

ამას წინათ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს ესტუმრა ფრანგი ალპინისტების ერთი ჯგუფი, სადაც სხვებთან ერთად შედიან ცნობილი სპორტსმენები ლეონ კუტე, გიდო მანიონი და კლოდ მაიარი. სტუმრებს ვნუკოვოს აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. მათ სიტყვით მიმართა ალპინიზმის საკავშირო სექციის თავმჯდომარემ ნ. რომანოვმა.

ფრანგ სპორტსმენებს განზრახული აქვთ ავიდნენ იალბუზზე, გადაიღონ თავიანთი მოგზაურობისა და ალპინისტური ასვლის ამსახველი კინოფილმი. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე ფრანგი ალპინისტები იყვნენ ნეპალის, გრენლანდიის, პერუს, შპიცბერგენისა და ჰიმალაის მწვერვალებზე.

საქართველოს დედაქალაქში

საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე შენობა არაჩვეულებრივადაა მორთული — ფასადებს ამშვენებენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგების პორტრეტები, მარადმწვანე ფოთლებით შემკული გირლანდები, ილუმინაცია. ეს შენობები დათმობილი აქვთ ძვირფას სტუმრებს — მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს.

თბილისში უკვე ჩამოვიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, უკრაინისა, უზბეკეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

დღეს დაიწყება წინასწარი შეჯიბრებები ჩოგბურთში, ხოლო 10 აგვისტოდან საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან ფრენბურთელები, ფეხბურთელები, კალათბურთელები და... დაიწყება ჩვენი მომავალი თაობის სპორტული ოსტატობის დემონსტრაცია.

ესტონეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ო. რიმმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ესტონეთის დელეგაციის უმრავლესობა თქვენს მშვენიერ დედაქალაქში პირველად იმყოფება. ჩვენ მხოლოდ გაგვეგონა ქართველთა სტუმართმოყვარეობის შესახებ, ახლა კი საკუთარი თვალით ვიხილეთ იგი. თბილისში გარემოცული ვართ მეგობრული ზრუნვით, სრულ წესრიგშია საერთო საცხოვრებელი, კვება. საწვრთნელი ბაზები“. ასე განაცხადეს აგრეთვე ბელორუსიის, ლიტვის, უზბეკეთისა და სხვა დელეგაციათა ხელმძღვანელებმა.

მართლაც, დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა, მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის. ესაა თვით შეჯიბრება და მონაწილეთა კულტურული მომსახურება. აქ საჭიროა ინიციატივა გამოიჩინონ დელეგაციებზე მიმაგრებულმა ორგანიზაციებმა. შეჯიბრებიდან თავისუფალი დრო (თუ იგი წვრთნისათვის არაა განკუთვნილი) საჭიროა რაციონალურად იქნას გამოყენებული. სტუმრებმა უნდა დაათვალიერონ ქალაქი, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები. მოეწყოს საუბრები რესპუბლიკის კულტურული და ეკონომიური წინსვლის შესახებ და თბილისის 1500 წლისთავის გარშემო. როგორც ცნობილია, ამ დღეებში თბილისში თავს მოიყრის 4000-მდე ნორჩი სპორტსმენი. ასეთი მრავალრიცხოვანი შეჯიბრება, თუ არ ვცდებით, ჩვენს ქალაქში ჯერ არ ჩატარებულა, ამიტომ საჭიროა სპარტაკიადის მონაწილეთა დელეგაციებზე მიმაგრებულ აქტივს მტკიცედ განვუმარტოთ საქმის სერიოზულობა და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ ოდნავი უწესრიგობაც კი.

წარმატებას გისურვებთ მოძმე რესპუბლიკების ნორჩო სპორტსმენებო! წინ, თამამად რეკორდების იერიშზე!



დღეს იწყება!

საქართველოს სპორტული დელეგაცია, რომელიც გასულ წელს საერთო მესამე ადგილზე გამოვიდა, კარგა ხანია რაც ემზადება სპარტაკიადისათვის. თუ რა მდგომარეობა გვაქვს ცალკეულ სახეობებში, ამის შესახებ ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ მწვრთნელთა პროგნოზები. გამართლდება თუ არა ისინი ამას სულ ახლო ხანში ვიხილავთ. ახლა ჩვენ გვინდა მოვუწოდოთ დელეგაციის ყველა მწვრთნელსა და სპორტსმენს, რომ საჭიროა ყველა გამოსვლაში ჩავაქსოვოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობანი, უნარი, თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ, რათა ჩვენმა დელეგაციამ არ დატოვოს მოპოვებული პოზიციები და პირიქით, იბრძოლოს წინ გადანაცვლებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ გუნდებში დიდი ცვლილებანი მოხდა, მოვიდა ახალი პლეადა, მაგრამ სხვა დელეგაციებშიც ხომ ასეა. ამას გარდა, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სპარტაკიადა ტარდება თბილისში და რესპუბლიკის სპორტის მოყვარულ საზოგადოებრიობას სურს იხილოს თუ რა შესაძლებლობის მქონე თაობა ეზრდება ჩვენს ვეტერანებს.

გათავდება ეს დიდი ღონისძიება და ახალი ძალებით განახლდება საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადება. ნორჩ სპორტსმენებიდან, ალბათ, ბევრი მოხვდება რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. რესპუბლიკის სპორტული ღირსებისათვის იბრძოლო მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენების გვერდით — ეს დიდი პატივი და დაფასებაა. საამისო საუკეთესო საშუალება კი ახლა გვეძლევა. როგორც ქართული ანდაზა ამბობს: „ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი“.

მაშ ასე. ვიწყებთ. ვიწყებთ და მიმდინარეობის 24-მდე გაგრძელდება სპორტული ბრძოლებით აღსავსე დღეები. დაე, გაიმარჯვოს ძლიერმა. გაიმარჯვოს ალალად, ვაჟკაცურად. აქ მოპოვებული ყველა მიღწევა ჩვენი საერთო გამარჯვება, საბჭოთა სპორტის მომავლის აყვავებაა.

წარმატებას გისურვებთ მოძმე რესპუბლიკების ნორჩო სპორტსმენებო! წინ, რეკორდების იერიშზე!

მოსწავლე მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრება

3 აგვისტოს ლენინგრადის პიონერთა სასახლეში მოეწყო ჭადრაკში მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობის გახსნა. გუნდები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. საქართველო, 2. უზბეკეთი, 3. ლიტვა, 4. უკრაინა, 5. ლატვია, 6. აზერბაიჯანი, 7. ლენინგრადი, 8. რსფსრ, 9. მოსკოვი, 10. ესტონეთი.

* * *

I ტურში საქართველოს ნორჩმა მოჭადრაკეებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა ესტონელებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2 (რამდენიმე პარტია არ დამთავრებულა).

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: მოსკოვი-უზბეკეთი — 7,5:3,5 (ერთი გადადებული პარტია), რსფსრ-ლიტვა — 7,5:0,5 (ოთხი გადადებული პარტია), უკრაინა-ლენინგრადი — 7,5:2,5 (ორი გადადებული პარტია), ლატვია-აზერბაიჯანი — 5:2 (ხუთი გადადებული პარტია).

* * *

II ტურში ყურადღების ცენტრში იყო რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მოჭადრაკეთა შეხვედრა. უკრაინელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს პარტიები და გაიმარჯვეს ანგარიშით 7,5:1,5 (სამი პარტია გადადებულია). საქართველოს გუნდს ანგარიში მიჰყავს უზბეკეთის კოლექტივთან — 6:2 (ოთხი პარტია გადადებულია). ესტონეთ-აზერბაიჯანის მოჭადრაკეთა შეხვედრა შეწყვეტილია ანგარიშზე 6:0 ესტონელთა, ხოლო მოსკოვისა და ლიტვის გუნდების შეხვედრა — 6:1 მოსკოველთა სასარგებლოდ. ლენინგრადისა და ლატვიის გუნდების შეხვედრაში დამთავრდა მხოლოდ ხუთი პარტია. ანგარიშია 3,5:1,5 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ წინ არიან უკრაინის ნორჩი მოჭადრაკეები, რომლებსაც 15 ქულა და ხუთი გადადებული პარტია აქვთ. მოსკოვის ნორჩ მოჭადრაკეებს აქვთ 13,5 ქულა და ცხრა გადადებული პარტია, ხოლო საქართველოს წარგზავნილებს — 11 ქულა და ცხრა გადადებული პარტია.



ამას წინათ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა ცურვაში. ქალთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელები მოიპოვეს გ. კამაევამ (რსფსრ) და ლ. ვიქტოროვამ (ლენინგრადი).

სურათებზე: გ. კამაევა (მარცხნივ) და ლ. ვიქტოროვა (მარჯვნივ) შეჯიბრების დროს.

მასობრიობა ჩვენი ყველა გამარჯვების საწინდარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვწერენ

გვჭირდება სისტემატური წვრთნა

ყველა შესაძლებლობა არსებობს, რომ თელავს ჰყავდეს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები ფრენბურთში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ მოხერხდა.

მართალია, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში თელავის ფრენბურთელები ყოველთვის იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ამ გუნდებს მხოლოდ შეჯიბრების წინ კრეფენ სახელდახელოდ, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ისინი ასევე სწრაფად იშლებიან.

მიუხედავად ამისა, გუნდი მაინც იღებს საპრიზო ადგილებს. 1957 წლის ზაფხულის რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე „ბ“ ჯგუფში თელაველმა ფრენბურთელებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო წელს, პროფკავშირთა II სპარტაკიადაზე, II ჯგუფში — პირველი ადგილი.

როდის გვეღირსება გუნდების სტაბილური დაკომპლექტება და მათი სისტემატური წვრთნა?

ვ. ფეიჭრიშვილი

გავხსნათ კლუბი

ონში მრავლადაა ჭადრაკის მოყვარული. აქ შეიქმნა რაიონის საჭადრაკო სექცია, რომლის თავმჯდომარეა მეორეთანრიგოსანი მოჭადრაკე ქალი თ. ბერიშვილი. სექცია ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტთან ერთად ატარებს მუშაობას, ეწყობა რაიონის პირველობები, შეჯიბრებები სკოლებს შორის. ონელი მოჭადრაკე წელს პირველად მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე.

უკვე მომწიფდა ონში საჭადრაკო კლუბის გახსნის საკითხი. ამის შესახებ დაიწერა ადგილობრივ პრესაშიც, მაგრამ პრაქტიკულად საქმე წინ ჯერ არ მიიწევს.

როდის დააკმაყოფილებენ ონელი მოჭადრაკეების სამართლიან თხოვნას?

დ. ბერიშვილი

«კოლმეურნის» სპარტაკიადის პროგრამით

თავისუფალი ჭიდაობა

ონში მოეწყო „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. დებულების მიხედვით შეჯიბრებაში მონაწილეობა შეეძლოთ არანაკლებ მეორე სპორტული თანრიგის მქონე სპორტსმენებს, ასეთი შეზღუდვის მიუხედავად, შეჯიბრებამ შეკრიბა 19 გუნდის 150-მდე მონაწილე.

შეჯიბრებაზე სრული შემადგენლობით გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ონის, გარეუბნის, საგარეჯოს, ახმეტის, სამტრედიის, წყალტუბოს, ამბროლაურის, სიღნაღის, თელავის, კასპის, წითელწყაროს, ლანჩხუთის, გორის, მახარაძის, ქუთაისისა და ლაგოდეხის გუნდები.

უმჩატეს წონაში მონაწილეობდა 17 მოჭიდავე. დაძაბული და საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ზ. მონასელიძის გამარჯვებით, რომელმაც ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგო სუფთად, ერთი ქულებით და საზოგადოების ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ონის რაიონის სოფელ ღების წარმომადგენელი ო. ლობჟანიძე, რომელიც პირად ჩათვლაში გამოდიოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ო. ლობჟანიძე (იგი 17 წლისაა) როგორც გამოუცდელი, გუნდის შემადგენლობაში არ იქნა შეყვანილი. ლობჟანიძემ თხოვნით მიმართა შეჯიბრების ორგანიზატორებს, რის შედეგადაც იგი დაშვებულ იქნა პირად ჩათვლაში. მოჭიდავემ გაამართლა იმედები და დაიკავა მეორე ადგილი. მან დაამარცხა პირველთანრიგოსანი ი. პოპონდოპულო და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გამარჯვებულ ზ. მონასელიძეს.

მჩატე წონაში სპორტის ოსტატმა ა. მაისურაძემ შვიდი შეხვედრიდან ყველა სუფთად მოიგო და დაიკავა პირველი ადგილი. იგი მეორედ გახდა საზოგადოება „კოლმეურნეს“ ჩემპიონი.

მომდევნო წონითს კატეგორიებში გაიმარჯვეს ბ. მარიდაშვილმა (საგარეჯო), ხ. კორაევმა (სამხრეთ ოსეთი), გ. ხიდეშელმა (ონი), ს. გაბარაევმა (სამხრეთ ოსეთი), გ. გზირიშვილმა (საგარეჯო) და ჯ. მანელიშვილმა (აჭარა).

ოთხი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი და „კოლმეურნის“ ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ონის რაიონის მოჭიდავეებმა, რომლებმაც მეორედ დაისაკუთრეს ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გარეუბნელი მოჭიდავეები. აჭარის გუნდმა დაიკავა მესამე ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებაზე გუნდები არ წარმოადგინეს: გურჯაანის, ქარელის, ცხაკაიას, ზესტაფონისა და სხვა რაიონებმა.

როგორც ჩანს, ზემოჩამოთვლილი რაისაბჭოების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სპარტაკიადისათვის მზადების საქმეს.

დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც ემზადება საკავშირო სპარტაკიადისათვის.

ვ. ხოფერიკი



2. ტრადიციების კვალდაკვალ

მოგითხრობთ მოწინავეთა გამოცდილების შესახებ

ოთხიოდე წლის წინათ ფიზკულტურული მუშაობის ასეთი დონე ნატვრად თუ ექნებოდათ ფარცხანაყანეველებს. ის კი არა 1953 წლამდე აქ არ იყო არც ერთი ნამდვილი, სისტემატურად მომეცადინე სპორტული სექცია, ხოლო რაიმე შეჯიბრებაში მონაწილეობა შემთხვევითობას თუ მიეწერებოდა.

რევაზ ბერიძე, ადგილობრივი საშუალო სკოლის მასწავლებელი, 1952 წლიდან მოვიდა კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელად. მას, როგორც იტყვიან, ცარიელი ადგილი დახვდა ამ უბანზე — ასე მოეჩვენებოდა გამოუცდელ ადამიანს, მაგრამ თვითონ რ. ბერიძე ასე სულაც არ ფიქრობდა. საქმის ნამდვილმა სიყვარულმა მას ბევრი რამ ისეთი დაანახვა, რაც სხვისთვის შეუმჩნეველი იყო. იქ, სადაც სხვა „ცარიელ ადგილს“ ხედავდა, რ. ბერიძემ ფარცხანაყანეველთა ტრადიციებზე ამოწვერილი ნორჩი ყლორტები შეამჩნია.

„საქმე იქიდან უნდა დავიწყო, სადაც ხალხის დაინტერესება და სიყვარულია. არის სახეობა, რომელსაც აგიტაცია არ დაჭირდება და სოფლელებიც სიხარულით მიიღებენ მას...“ — ასე ფიქრობდა ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელი.

ეს სახეობა ფრენბურთი გახლდათ. და რა საკვირველიც არ უნდა იყოს, მას — ერთადერთს — მართლაც ჰქონდა სოფლად თავისი ტრადიციები, თუმცა იმ ხანად მივიწყებული. მისი სათავე 30-იანი წლებიდან მომდინარეობდა და დაკავშირებული იყო ბ. კილაძისა და გ. ჩხეიძის სახელებთან. ძნელი სათქმელია, საიდან ჩამოყვათ მათ ეს სიყვარული, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მათი ინიციატივით სასოფლო საბჭოს ეზოში, სახელდახელო მოედანზე ხშირად იმართებოდა გასართობად მოწყობილი თამაშები ფრენბურთში და კოლმეურნეებიც დღითიდღე სულ უფრო „აჩვევდნენ თვალს“ ამ უცხო სანახაობას. ბოლოს ამ გართობამ ისეთი მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო, რომ ფარცხანაყანეველებს კარგა ხანს ეყოთ სალაპარაკოდ. ეს ომის დამთავრების შემდეგ მოხდა. წყალტუბოს რაიონის ფრენბურთელთა ნაკრები საკონტროლო შეხვედრებს ატარებდა და ძლიერ კოლექტივებზე გამარჯვების შემდეგ „უცნაურ“ მოყვარულებს შეხვდა. ესენი ფარცხანაყანეველები იყვნენ, რომლებმაც მაყურებელთა ყიჟინასა და ტაშის გრიალში დაამარცხეს „მრისხანე“ მეტოქეები... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ფრენბურთელთა გუნდის სახელიც ამ წყალს გაჰყვა, მაგრამ მაინც დარჩა საამაყო მოგონება, სოფლელთა სიყვარული ამ სპორტული თამაშისადმი.

ეს სიყვარული დაეხმარა რ. ბერიძეს ტრადიციის აღდგენაში და მალე კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა პირველი სპორტული სექცია ფრენბურთისა.

კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელობის მუშაობის ეს მისაბაძი ტაქტი — ამა თუ იმ მოვლენისადმი ადგილობრივი ინტერესებისა და ტრადიციების შესწავლა და მისი მეოხებით საქმის წამოწყება — კიდევ ერთი სექციის ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად. ეს ამბავი შედარებით უფრო გვიან ხანას ეკუთვნის, მაგრამ მასაც, ფრენბურთის მსგავსად, კარგა ხნის ტრადიციები უძღოდა წინ.

— თეიმურაზ, — მიმართა ერთხელ ახალი სექციის შექმნაზე ფიქრებით გართულმა რ. ბერიძემ ფარცხანაყანევის საშუალო სკოლის ფიზალზრდის მასწავლებელს, — თუ გახსოვს ომამდე ჩვენს სოფელს თბილისიდან მოჭიდავეთა ჯგუფი ეწვია და რამდენიმე საჩვენებელი შეხვდერაც მოაწყო ქართულ ჭიდაობაში...

— როგორ არ მახსოვს! — სახე გაუბრწყინდა თეიმურაზ კილაძეს, — მე მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გამოსვლებმა, რომ მეორე დღიდანვე სკოლის ეზოში შეკრებილი ბიჭები გამუდმებით ვბღლარძუნობდით და ოსტატთა ფანდების მიბაძვას ვცდილობდით. ჩვენ კი არა, ჩვენზე გაცილებით უფროსებიც დაინტერესდნენ მაშინ ქართული ჭიდაობით, ერთიორხელ სახალხოდაც გამოვიდნენ.

— მერე, ასეთი რა უბედურება მოხდა, რომ დღეს მხოლოდ ასე, შემთხვევით საუბარში თუ გაიხსენებენ ხოლმე ჭიდაობას?

მართლაც, უბედურებას ჩაუქრია ფარცხანაყანეველთა ეს ახალი გატაცება. ომის სუსხს ჩაუქრია იმ ხანად ის-ის იყო აფეთქებული კვირტები, რომლებსაც ნაყოფად ქართული ჭიდაობის დადგენა უნდა მოეტანა სოფელში ... მაგრამ, ფესვები?... აი, თუნდაც თეიმურაზის თვალების გაბრწყინება, როცა მას სოფლად მოჭიდავეთა ჩამოსვლის ამბავი გაახსენეს, განა იგი არ მოწმობს იმას, რომ „ფესვები“ — ტრადიცია ცოცხლად შენახულა თანასოფელთა გულებში?!

და რევაზ ბერიძეც შეუდგა ზრუნვას ამ ტრადიციის აღორძინებისათვის.

... თითქოს საგანგებოდ მოხდაო: სწორედ ამ დღეს შემოაგუგუნა მოტოციკლი „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ შოთა კინწურაშვილმა, ამბები მოიკითხა და შემდეგ პირდაპირ სათქმელზე გადავიდა:

— რეზო, ჩვენს რაიონში რაჭველები ჩამოვიდნენ სამუშაოდ. სამი მათგანი მოჭიდავე აღმოჩნდა. პირდაპირ მე მომადგნენ — ჭიდაობის სექციის გახსნაში დაგვეხმარეო. ჯერ თვითონ არსენ ჯელაძეს შევთავაზე, ასე ჰქვია ერთ-ერთს, შენ თვითონ უხელმძღვანელე სექციას-მეთქი, მაგრამ შეშინდა, ვერ იტვირთა ეს საქმე. მერე როგორც იქნა მოვნახე კვალიფიციური კაცი — ჯუმბერ ფხაკაძე, წყალტუბოს ქართული სკოლის მათემატიკის მასწავლებელია და პირველთანრიგოსანი ჭიდაობაში. ჰოდა, ამაზე ჩამოვედი ახლა — რაკი ერთხელ დავიწყეთ ეს საქმე, ბარემ ბოლომდე მივდიოთ. ყველგან უნდა შეექმნათ ჭიდაობის სექციები...

რევაზ ბერიძეს გაეღიმა: ხელმძღვანელობის ყურადღება საქმეს უადვილებდა..

შ. ჯულელი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 93.

ფრენბურთი

ბათუმში დამთავრდა საქართველოს სოფლის ფიზკულტურელთა V რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ვაჟთა 29 და ქალთა 14-მა გუნდმა. შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილ იქნენ ექვსჯგუფებად და მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მატჩები ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე.

ვაჟთა გუნდებს შორის გამარჯვება მოიპოვეს აფხაზეთის „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდის ფრენბურთელებმა. მეორე ადგილზე არიან აჭარის, ხოლო მესამეზე — თბილისის გარეუბნის გუნდები.

აფხაზეთის ფრენბურთელთა წარმატებით დამთავრდა აგრეთვე შეჯიბრება ქალთა გუნდებს შორის. აჭარის გუნდი აქაც მეორე ადგილზე იყო, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდნენ ლაგოდეხის ფრენბურთელები.

უნდა აღინიშნოს ზოგიერთი გუნდის აშკარად სუსტი მომზადება. ეს შეიძლება ითქვას ყაზბეგის, დმანისის, სამტრედიის, გურჯაანის, ბოგდანოვკის, ახალციხის, მახარაძისა და სხვა კოლექტივებზე.

პირველობის დამთავრების შემდეგ შერჩეულ იქნა ვაჟთა და ქალთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო სპარტაკიადაში.

ს. ნათაძე

შეჯიბრება მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა

ამას წინათ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში სპორტის ოსტატი ბ. გურგენიძე, რომელიც მონაწილეობდა სოფიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირსა და შემდეგ სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე. როგორც ცნობილია, ნიჭიერმა ქართველმა ოსტატმა სოფიის ტურნირში პირველი-მესამე ადგილები გაიყო, ხოლო საბჭოთა სტუდენტების გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც იგი იყო, მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ბ. გურგენიძის ნაამბობს ამ ტურნირების შესახებ.



სოფიის საერთაშორისო ტურნირი მიეძღვნა ბულგარეთის მშვიდობის დაცვის მეხუთე ეროვნულ კონგრესს, რომელიც პლოვდივში მიმდინარეობდა. შეიძლება ამიტომ იყო, რომ იგი სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობდა.

ბულგარეთის საჭადრაკო ცხოვრებას მართავს „საჭადრაკო კავშირი", რომელიც 1928 წელს დაარსდა. მის შემდეგ კავშირმა ბევრი გააკეთა ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის, განსაკუთრებით ბოლო ხანებში. შეიქმნა მრავალი კლუბი, გამოდის საჭადრაკო ჟურნალი და ა. შ. რესპუბლიკაში არიან საერთაშორისო კლასის ოსტატები, ხოლო ბულგარეთის ჩემპიონი ო. ნეიკირხი, რომელიც, სხვათა შორის, თბილისშია დაბადებული, ითამაშებს პორტოროჟის საზონათშორისო ტურნირში.

სოფიის ტურნირში მხოლოდ 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩვეულებრივ, მოკლე დისტანციის შეჯიბრებაში ძნელია თამაში. პირველ ტურშივე წავაგე პარტია ბობეკოვთან, რომელიც თავიდან ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჩანს ამან „შთამბერა ძალები" და უკანასკნელ ტურამდე პირველ ადგილზე მივდიოდი. მხოლოდ დასკვნით დღეს შევცდი პოლონელ ბუუსკასთან მოგებულ პოზიციაში და იძულებული შევიქენი ყაიმზე შევთანხმებულიყავი. ამით მინევსა და ბობეკოვთან გავიყავი პირველი-მესამე ადგილები.

ტურნირში დაწესებული იყო სამი პრიზი, რომელთაგან ორი მე მერგო: რუმინელ რადოვიჩთან ლამაზად მოგებული პარტიისათვის და უველაზე მეტი გამარჯვებისათვის. გარდა ამისა, ყველა მონაწილეს ჯილდოდ მოგვცეს იმდენი 40 ლევი, რამდენი ქულაც ჰქონდა თვითეულს.

ივნისის ბოლოს ვემშვიდობებოდი ბულგარელ ამხანაგებს, რომლებთან ათ დღეში ისევ უნდა დავბრუნებულიყავი — სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე.

* * *

საბჭოთა მოჭადრაკე-სტუდენტთა ნაკრები გუნდი კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობის მონაწილეებთან ერთად გავდიოდით წვრთნას მოსკოვის მახლობლად, პოდოლსკში. აქ შედგა გ. კარტოზიასი და ჩემი შეხვედრა, რასაკვირველია, ჭადრაკში. მსოფლიო ჩემპიონი შეუპოვარი პარტნიორი აღმოჩნდა და პარტია, გარსშემოკრებილთა საერთო სიცილში ყაიმით დამთავრდა.

ივლისის დამდეგს ძველმა მეგობრებმა სოფიის სადგურში მოგვწყეს შეხვედრა, იქიდან გავემგზავრეთ ვარნაში, საიდანაც მანქანებით მივედით კურორტ „ოქროს ქვიშაში". იგი 17 კილომეტრითაა დაშორებული ვარნას. აქ ნელნელა თავს იყრიდნენ მსოფლიო პირველობის მონაწილე სხვა გუნდებიც. ორი წლის წინათ „ოქროს ქვიშა", სადაც მხოლოდ კარგი პლაჟი იყო, ინახულა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ურჩია ბულგარელებს იგი კურორტად გადაექციათ. ბულგარელებმა არ დააყოვნეს „ოქროს ქვიშის" კეთილმოწყობა, მაგრამ ჯერ საბერო იყო ურიცხვი ქვეწარმავლის მოსპობა. ამისათვის იმ ადგილებში გააშენეს მილიონამდე ზღარბი, რომლებმაც შთანთქეს ქვეწარმავლები.

ვთამაშობდით ზღვისპირა ვერანდაზე. დაღლილნი გავცქეროდით ზღვის უსასრულო სივრცეს, და ვასვენებდით თვალს. ყველას სურდა ენახა მიხეილ ტალი, ბორის სპასკი, ამერიკელი ლომბარდი — მსოფლიო ჩამპიონი ჭაბუკთა შორის და სხვები. აგარაკის შესანიშნავი ატმოსფერო ყოველმხრივ გვიწყობდა ხელს, მაგრამ ზოგჯერ ასეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი:

ერთხელ თამაშის დროს ტალმა თვალით მანიშნა — გაიხედე გასასვლელისკენო. გავიხედე, როცა დავინახე, რომ ვერანდაზე შემოსულიყო საცურაო ტანსაცმელში გამოწყობილი ოცამდე ქალიშვილი. მალე ქალიშვილები მიხვდნენ, რომ მათი მორთულობის გამო მოჭადრაკეებს თამაშის „მადა" ეკარგებოდათ და დატოვეს ვერანდა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის გარდამავალი თასი. საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მ. ტალი, რომელიც ჩინებულად თამაშობდა. საინტერესოდ ატარებდნენ თავიანთ პარტიებს სხვა გროსმაისტერებიც. მე ვითამაშე შვიდი პარტია, რომელთაგან მოვიგე ორი, წავაგე ერთი და ოთხი ყაიმით დავამთავრე.

ჩემპიონატის მონაწილენი ერთმანეთში მეგობრულად ვიყავით. ერთად დავდიოდით საცურაოდ, სასაუზმედ და საღამოობით თავისუფალ დროს — კინოში.

ერთხელ შვეიცის გუნდის წევრმა მაჩუქა ვიკინგების ძეგლის ნამხვრევი და წმინდა რუსულით მითხრა:

— ასეთ სუვერინებს ჩვენ მხოლოდ ახლო მეგობრებს ვაძლევთ, ისიც შვეიციდან ასეთი დაშორებით. საქართველოს შესახებ გვსმენია და თქვენი მდიდარი ეროვნული კულტურის შესახებ წაგნებიც არის.

ენის არცოდნის [illegible] ჩვენ მაინც [illegible] ნეთთან ბაასს, ჭადრაკის დაფასთან კი ასეთი საუბრები უფრო იოლი იყო.

ტურნირის შესახებ დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ უცხოელ მოჭადრაკეთა თამაშის კლასმა საგრძნობლად აიწია. მათ კარგად აითვისეს ჩვენი მოჭადრაკეების გამოკვლევები, თეორიული დებულებები. ამიტომ სულ უფრო ძნელი ხდება ჩემპიონობის მოპოვება.

ჩვენი გუნდის წარმატება სავსებით დამსახურებულია. არც ერთ ჩვენთაგანს არ დაუზოგავს თავი გამარჯვების მისაღწევად. ამიტომ სსრ კავშირის გუნდმა ერთი ყაიმის გარდა ყველა მატჩი მოიგო და მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

* * *

სურათზე: თამაშის მომენტი.

ლაში სტუდენტთა თამაშების ჩემპიონები გახდნენ ჩოგბურთში — ი. რიაზანოვა, რომელმაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, ჩოგბურთელთა შერეულ წყვილში — რიაზანოვა-ვერულავა, მაგიდის ჩოგბურთში — სპორტის ოსტატი ი. იზაშვილი, ამავე სახეობის წყვილთა შეჯიბრებაში — იზაშვილი-ღარიბაშვილი და იზაშვილი-ბენთაძე.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების კოლექტივები სპორტის თითქმის ყველა სახეობაში დაკომპლექტებული იყო უძლიერესი სპორტსმენებით. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მთელ რიგ გუნდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ღირსეულად გამოვიდნენ ამ დიდ ასპარეზობაზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ველოსიპედისტთა მიღწევა — მეორე ადგილი. ქალთა გუნდმა დაისაკუთრა პირველობა გუნდურ რბოლაში 25-კილომეტრიან დისტანციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ რაპირით ფარიკაობაში ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა დაიკავეს მეექვსე ადგილი, გვქონდა წარმატებებიც — დაშნაში პირველი ადგილი, რაპირაში — მეორე ადგილი (ქალთა გუნდი). ესპადრონში შეჯიბრების წინ მათ მოსკოვის ცენტრალური ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად საერთო პირველ ადგილზე გამოსვლის კარგი შანსები ჰქონდათ. პრეტენდენტთა შეხვედრა შედგა სულ ბოლოს. დაძაბული ბრძოლა მოსკოველთა მინიმალური უპირატესობით (5:4) დამთავრდა და ჩვენი გუნდიც იძულებული გახდა მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

დაძაბული გამოდგა ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის გამო ჩვენი ინსტიტუტის გუნდში არ იყვნენ მ. ცალკალამანიძე და ზ. მჭედლიშვილი, ახალგაზრდობამ შეჯიბრება გაბედულად ჩაატარა და შედეგად გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვა ჩრდილოეთ ოსეთის ძლიერი კოლექტივის შემდეგ.

აღსანიშნავია გ. ხხირტლაძის მორიგი წარმატება, რომელიც ამჯერად ქვემძიმე წონაში გამოდიოდა. მან ბეჭებზე დასცა მსოფლიო თასის მფლობელი ა. ალბული. თავიანთ წონითს კატეგორიებში მეორე ადგილები მოიპოვეს გვიმრაძემ და მუხიაშვილმა, მესამე ადგილზე გამოვიდა ვარდოშვილი.

მართალია, ტანმოვარჯიშეთა გუნდი მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა, მაგრამ მას თამამად შეეძლო პირველი ადგილის მოგება. თუმცა ისიც ანგარიშგასაწევია, რომ შეჯიბრებაზე ავადმყოფობის გამო არ გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები თ. ბეთანელი და ი. ბალიაური, რომელთა მონაწილეობა უეჭველად შეამცირებდა ქულათა იმ მცირე სხვაობას, რომლითაც მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პედინსტიტუტის გუნდებმა გაგვისწრეს. წარმატება ხვდა წილად რ. კაკაბაძეს, რომელმაც 111,5 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე გამოვიდა.

სიმძიმეების აწევაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა გაიყვეს მეორე და მესამე ადგილები ლვოვის სტუდენტებთან ერთად, რომლებსაც უპირატესობა მიენიჭათ მეტი პირველი ადგილებისათვის. პირად ჩათვლაში სპორტის ოსტატმა დათიკაშვილმა ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

უველაზე საინტერესო და დაძაბული იყო მძლეოსანთა ასპარეზობა. საქართველოს სტუდენტმძლეოსანთა გუნდი ერთხანს მეოთხე ადგილზე მიდიოდა, მაგრამ შემდეგ მეექვსეზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია ანთაძის, ტრაპაიძის, ჯარაშნელისა და კლიუევის წარმატება ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. ჯერ შერჩევით შეჯიბრებაზე მათ აჩვენეს 42,2 წამი, ხოლო ფინალში — 41,7, რაც სტუდენტთა თამაშების ახალი მიღწევაა და საქართველოს რეკორდის გამეორება.

მძლეოსანთა წარუმატებლობა პირველ რიგში მიეწერება სპორტსმენ ქალთა სისუსტეს. მხოლოდ ერთმა მათგანმა — ზრაყევსკაიამ შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი. დანარჩენები ძლივს აკმაყოფილებდნენ მეორე თანრიგის მოთხოვნებს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის სასიხარულო ფაქტი, რომ სტუდენტთა თამაშების დამთავრებისადმი მიძღვნილ საღამოზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სპეციალური თასი სტუდენტთა შორის მასობრივი სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის.

ა. ფალავანდიშვილი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 აგვისტოსათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
„სპარტაკი"	14	9	4	1	35:15	22
ცსკ მო	15	8	4	3	31:16	20
„ზენიტი"	13	6	5	2	26:14	17
„შახტიორი"	14	6	3	5	14:17	15
„ლოკომოტივი"	12	5	4	3	20:14	14
„დინამო" მ.	13	6	2	5	24:17	14
„ტორპედო"	13	3	7	3	30:27	13
„დინამო" თბ.	14	5	2	7	25:41	12
„დინამო" კ.	12	2	6	4	19:19	10
„მოლდოვა"	13	2	5	6	15:27	9
„კრ. სოვეტოვი"	13	1	6	6	7:18	8
„ადმირალტ."	14	3	0	11	17:38	6

* * *

⊙ **მოსკოვი. 5 აგვისტო.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ტორპედო" (მოსკოვი)— „ზენიტი" (ლენინგრადი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

⊙ **მოსკოვი. 6 აგვისტო.** საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი" (მოსკოვი) და „შახტიორი" (სტალინო).

მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

საქართველოს სტუდენტთა წარმატება

კიევის სპორტულ ბაზებზე ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების ფინალური შეჯიბრება. უძლიერეს სტუდენტ სპორტსმენთა ასპარეზობაზე საქართველო წარდგენილი იყო სამი უმაღლესი სასწავლებლით: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (10 სახეობაში), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ერთ სახეობაში) და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (7 სახეობაში).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტუდენტი სპორტსმენები, მცირე გამონაკლისის გარდა, ასპარეზობის თითქმის ყველა სახეობაში წარმატებით გამოვიდნენ. როგორც ცნობილია, ფინალური შეხვედრები ცალ-ცალკე მიმდინარეობდა ფიზკულტურის ინსტიტუტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ყველაზე სუსტად გამოვიდნენ ფრენბურთელები, პირველ რიგში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი (მეცხრე ადგილი) და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი (მეათე ადგილი).

დანარჩენ სახეობათა უმეტესობაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები წარმატებით გამოდიოდნენ. ვაჟთა და ქალთა გუნდებმა კალათბურთში დაუმარცხებლად ჩაატარეს ყველა შეხვედრა და დამსახურებულად მოიპოვეს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონის წოდება. ასევე პირველ ადგილზე გამოვიდა გუნდი თავისუფალ ჭიდაობაში. სპორტის ოსტატმა ჯ. დავლიანიძემ თავის წონითს კატეგორიაში ყველა შეხვედრა მოიგო და პირველობა დაიპაკუთრა. მეორე ადგილებზე გამოვიდნენ ამავე გუნდის წევრები: კუპავა, საღარაძე, ე. დავლიანიძე და სხვ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიკაკეებსაც ადვილად უნდა მოეპოვებინათ პირველობა. ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ კიდეც რაპირით ფარიკაობაში (ქალები და ვაჟები), ესპადრონში (ვაჟები), მაგრამ დაშნით ფარიკაობაში გუნდი ველარ წარმოადგინეს, რადგან მისი ერთ-ერთი წამყვანი წევრი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავე ი. ოხიპოვი საკავშირო შეკრებაზე იყო მოსკოვში და ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაზე ვერ გამოცხადდა, გუნდს კი მისი შემცვლელი არ აღმოაჩნდა. ამიტომ მომავალმა ინჟინრებმა საერთო მეორე ადგილი დაიკავეს. ასეთივე შედეგი იქნა ნაჩვენები მაგიდის ჩოგბურთსა და ჩოგბურთში, მეხუთე ადგილი ველოსპორტში. აღსანიშნავია ისიც, რომ პირად ჩათვლაში სტუდენტთა თამაშების ჩემპიონები გახდნენ ჩოგბურთში — ი. რიაზანოვა, რომელმაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, ჩოგბურთელთა შერეულ წყვილში — რიაზანოვა-ვერულავა, მაგიდის ჩოგბურთში — სპორტის ოსტატი ი. იზაშვილი, ამავე სახეობის წყვილთა შეჯიბრებაში — იზაშვილი-ღარიბაშვილი და იზაშვილი-ბენთაძე.

1:0 ბახუსის სასარგებლოდ

✦

ფელეტონი

✦

უფროსი და საშუალო ასაკის სპორტის მოყვარულებს ჯერ კიდევ ახსოვთ ასეთი რეპორტაჟი „დინამოს“ სტადიონიდან:

—სანამ სტადიონზე რამდენადმე სიწყნარეა, ორ სიტყვას ვიტყვი მატჩის ერთ-ერთ მონაწილეზე—პეტრე ტიმოთეს-ძე დემენტიევზე. გამოდიოდა რა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში, მან ჩვენს სპორტს ბევრი დიდება მოუტანა. პეტრე დემენტიევი ერთ-ერთი გაბედული და მაღალი ტექნიკის მოთამაშეა...

არა, პეტრე დემენტიევი არ აძლევს მოწინააღმდეგეს მოსვენებას. თამაშის ტემპი კვლავ მატულობს. მასპინძლებმა დაიწყეს მძლავრი შეტევა. სახიფათო მომენტი! პეტრე დემენტიევი ბრწყინვალე მანევრით დაეუფლა ბურთს. დარტყმა! მოწინააღმდეგის მეკარეს ბურთი გამოაქვს ბადიდან!..

ვის არ ახსოვს პეტრე დემენტიევი — უპოპულარესი ფეხბურთელი, გაბედული მარჯვენა შუამარბი, ფინტების ოსტატი!

დღეს კი ჩვენ წილად გვხვდა ძნელი მოვალეობა — შევატყობინოთ გულშემატკივრებს არასასიამოვნო ამბავი. მწვანე მინდვრის რაინდი დამარცხებულია.

ნუთუ გამოჩნდა მოწინააღმდეგე, რომელმაც აჯობა პეტრე დემენტიევს?

— დიახ გამოჩნდა. და როგორ გგონიათ, ვინ? ბახუსი — ანტიური ღმერთი — ლოთების მფარველი!

პეტრე დემენტიევმა, რომელმაც 25 წლის განმავლობაში არ იცოდა რა იყო დამარცხება, მიიღო გოლი საკუთარ კარში ბახუსისაგან. მერე როგორი გოლი!

არ იფიქროთ, რომ დემენტიევი ნუნუას მსხვერპლი გახდა. არა, მას მთელ თავის ცხოვრებაში არც ერთი წვეთი არ გადაუყლაპავს. დემენტიევმა გაიძვერა ბახუსს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. მაგრამ ბახუსმა მის საწინააღმდეგოდ მობილიზაცია გაუკეთა თავის თაყვანისმცემლებს, ჭარბი ძალებით მოიპოვა უპირატესობა და სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი დამარცხებულ იქნა.

დროა გადავიდეთ ამ დრამატული შეხვედრის რეპორტაჟზე.

აი, ახლახან დამთავრდა მორიგი მატჩი. ფეხბურთის გუნდმა „ისკრამ“ (ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ტრუდი“), რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა განქმული ქალაქის ყაზანის სპორტული სახელი, კვლავ დამარცხება განიცადა და ყაზანელი გულშემატკივრები ხმამაღლა ამბობენ — გვეყოფა სირცხვილია...

დავამთავროთ ეს უსიხარულო რეპორტაჟი და გადავიდეთ შემდგომ ამბებზე. მას შემდეგ, რაც ყაზანელი ამხანაგები შეუდგნენ „ისკრას“ წაგების მიზეზების გარჩევას, ისინი მიხვდნენ, რომ ფეხბურთელების ყველა უბედურება იწყება იმით, რომ ისინი სუსტად არიან დაუფლებული ტექნიკას და კიდევ იმით, რომ ზოგიერთებს ღვინისაგან ფეხები ებლანდებათ. უფროსმა მწვრთნელმა მიხეილ მიხინმა გახარწნა გუნდი. ფეხბურთის ტექნიკაზე მას ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მთელი მისი სპორტული გამოცდილება მდგომარეობდა იმაში, რომ მოსკოვში ცხოვრებისას იგი მუშაობდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ სასადილოში. მართალია, აქ მიხინმა ორიგინალური ტალანტი გამოავლინა. მას შეეძლო ბოთლიდან სწრაფად ამოეგდო საცობი და ლამაზად დაერტყა კონსერვის ცარიელი ქილისათვის. ახალგაზრდა ნიჭი შემჩნეულ იქნა. იგი კურსებზე გაგზავნეს. მიხინმა დაამთავრა სწავლა და აღმოჩნდა ყაზანის „ისკრის“ გუნდის უფროს მწვრთნელად.

— მიხინი უნდა განთავისუფლდეს და მის მაგივრად მოწვეულ იქნას მწვრთნელი, რომელიც არ სვამს, — მტკიცედ განაცხადეს ქალაქის ხელმძღვანელებმა. დაიწყო ახალი მწვრთნელის ძებნა, არჩევანი შეჩერდა პეტრე დემენტიევზე.

მოვიდა თუ არა გუნდში დემენტიევი, მაშინვე შეუდგა დისციპლინის დამყარებას, მაგრამ ყოფილმა მწვრთნელმა მიხინმა და მისმა თანაშემწემ რუნენკოვმა არ დაჰყარეს ფარ-ხმალი. მათ რევანში სწყუროდათ.

იმ დღეს, როცა ახალი მწვრთნელი მოვიდა, ბოთლების გახსნის სპეციალისტმა მიხინმა მთელი თავისი ხელოვნება გამოავლინა—მოაწყო ღრეობა, რომელშიც ახალგაზრდებიც ჩაითრია.

დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე, რომელსაც ახალი მწვრთნელი ატარებდა, ღამის ღრეობის მონაწილენი დაღლილნი იყვნენ, ხოლო ცენტრალური მცველი ვიქტორ სურკოვი საერთოდ არ მოვიდა მეცადინეობაზე. მას ფეხბურთისათვის არა სცხელოდა. უფროს მწვრთნელს უფლება ჰქონდა მოეხსნა ასეთი მოთამაშე გუნდიდან, მაგრამ პირველი შემთხვევის გამო დემენტიევი სასტიკ საყვედურს დასჯერდა.

და აი, აქედან დაიწყო გაცოფებული შეტევა. ცენტრალური მცველის დასჯას თავგასული გუნდი „ხმალამოღებული“ შეხვდა. ზოგიერთებს არ მოეწონათ ახალი მწვრთნელის მიერ მეცადინეობებში შეტანილი ფიზკულტურული ვარჯიშების კომპლექსი, კროსები, სადაც მიუხედავად თავისი 45 წლის ასაკისა, პ. დემენტიევი ყველაზე სწრაფად დარბოდა.

ამის შემდეგ გუნდში დაიწყო ისეთი ამბები, რაც არც ერთ სპორტულ წესდებაში არ არსებობს. ახალ მწვრთნელზე შედგა ანონიმური საჩივარი და გამრავლებული ბევრ ეგზემპლარად იგი წავიდა ხელმძღვანელი დისტანციებისაკენ. მასში დემენტიევს აწერდნენ ყველაზე საშინელ დანაშაულს, თითქოს იგი უგულო კაცია, არაობიექტური, ჭინჭყლი... ანონიმური წერილი მთავრდებოდა მოთხოვნით — გაეგდოთ დემენტიევი და აღედგინათ მიხინის მმართველობა.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ ანონიმური წერილი ესაა უსინდისოდ შეთითხნილი ბრალდება. როცა თათართა ასსრ პროფსაბჭოს კულტურისა და საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგემ ტიურინმა და „ტრუდის“ საზოგადოების თავმჯდომარემ ნურიახმეტოვმა გამოიძახეს ფეხბურთელები, ყველა ელოდა, რომ ეს ამხანაგები დაეხმარებოდნენ მათ ლოთების ალაგმვაში. მაგრამ საქმე სხვაგვარად წავიდა. დემენტიევი ითხოვდა უნიჭო სპორტსმენებისა და დისციპლინის დამრღვევთა განთავისუფლებას, გუნდის შევსებას ახალგაზრდებით, ტიურინი კი ძველ „ზნე-ჩვეულებებს“ იცავდა.

საქმე ისე წავიდა, რომ მთელი გუნდი „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა. მას არ შეეძლო ნამდვილი თამაში, შეეძლო მხოლოდ წაგება. მაშინ საქმეში ჩაერია ყაზანის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვსევოლოდ სტეფანეს-ძე სლასტნიკოვი და უნდა სიმართლე ითქვას — ტიურინისაგან განსხვავებით იგი სიფხიზლის მხარეს იდგა და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ აზრს დემენტიევის განთავისუფლების შესახებ.

ჰაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. სპეციალურად მოწყობილ თათბირზე გაიმართა გადამწყვეტი პრძოლა ბახუსსა და დემენტიევს შორის. ჩამორჩენილმა ფეხბურთელებმა ამჯერად საკვირველი ნიჭი გამოავლინეს ყველაზე რთულ კომბინაციებშიც კი. ბახუსის მიმდევართათვის შეტევის წარმოება იოლი იყო, ვინაიდან მოწინააღმდეგე არ ჩანდა... დემენტიევი ავადმყოფობის გამო არ ესწრებოდა თათბირს. მეორე მწვრთნელი ევრანოვი გადავიდა შეტევაზე: მან გარს შემოიკრიბა ყველა ის, ვინც უკმაყოფილო იყო დისციპლინით, სახელდობრ ისინი, რომლებიც ლოთობის გამო უნდა გაეთავისუფლებიათ. მოიერიშეებმა ისეთი ამბავი შექმნეს, რომ ვსევოლოდ სტეფანეს-ძემ, რომელიც თათბირს ესწრებოდა, მხოლოდ ისღა შეძლო, რომ ეთქვა: რაც გინდათ ის ქენით... თვითონ გაერკვიეთ.

და როცა ბახუსის თაყვანისმცემლებმა უფლება მოიპოვეს თვითონვე გაერკვიათ ყველაფერი, ისინი გამხნევდნენ. მათ ძალზე დაეხმარა „ტრუდის“ კეთილი ხელმძღვანელი. მეორე დღეს ამ ხელმძღვანელმა გაათავისუფლა დემენტიევი და მის ადგილზე ევრანოვი დანიშნა. ამჟამად გუნდში შეიქმნა უშფოთველი სიჩუმე, რომელსაც ზოგჯერ ჭიქების წკარუნი არღვევს ხოლმე.

რაც შეეხება პეტრე დემენტიევს, როცა იხილავდნენ გუნდისა და მის ბედს, იგი ავადმყოფი იწვა სასტუმროში, მაგრამ დემენტიევი ყველაზე ცოტას თავის თავზე ფიქრობდა. მას აწუხებდა ერთი ფიქრი: როგორ მოხდა, რომ ბახუსზე გამარჯვება ვერ შეძლო?

საწოლში მყოფი დემენტიევი ისმენდა რადიორეპორტაჟს ყაზანის სტადიონიდან. რეპროდუქტორი გადმოსცემდა: „მატჩის დამთავრებამდე დარჩა ხუთი წუთი. „ისკრის“ გუნდს აღარ შეუძლია გაქვითოს ანგარიში. 1:0 მოწინააღმდეგის სასარგებლოდ...“

პეტრე დემენტიევს კი მოეჩვენა:

— 1:0 ბახუსის სასარგებლოდ.

ს. ბახტიაროვი,
ქ. ყაზანი.
გაზეთი „პრავდა“,
3 აგვისტო.

8 გუნდის მონაწილეობით

საინტერესო ტურნირი ბახუსის კალინინის სახელობის რაიონის პირველობა ფრენბურთში, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვეს „თბილწყალსადენის“ ტრესტის ფრენბურთელებმა.

* * *

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა რაიონის გუნდური პირველობის პირველი ტური მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ „კარტფაბრიკის“ სპორტსმენები.

ნეკროლოგი

ა. ვ. ტარასევიჩი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ალექსი ვლადიმერის-ძე ტარასევიჩი — მძლეოსნობის კარგი მცოდნე და სპეციალისტი.

ალექსი ვლადიმერის-ძე ტარასევიჩი დაიბადა 1905 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაზე და დაამთავრა იგი 1926 წელს. სწორედ ამ ხნიდან იწყებს იგი ფიზკულტურულ მოღვაწეობას. ალექსი ვლადიმერის-ძე ტარასევიჩი იყო ასპირანტი ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტში მძლეოსნობის კათედრაზე. შემდეგ იგი მუშაობდა ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, ფიზკულტურის ტექნიკუმში და უკანასკნელ დღეებამდე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მძლეოსნობის კათედრაზე.

ა. ვ. ტარასევიჩი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რესპუბლიკაში მძლეოსნური კადრების მომზადების საქმეში. იგი იყო მეტად გულისხმიერი აღმზრდელი და ამხანაგი, ჩინებული საზოგადოებრივი მუშაკი, ფართო დიაპაზონის, განათლებისა და მაღალი კულტურის ადამიანი.

ალექსი ვლადიმერის-ძე ტარასევიჩის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი ამხანაგებისა და მახლობელთა შორის.

ამხანაგების ჯგუფი.

ატომის ეპოქის გლადიატორები

ვინ იცის, რამდენი დრო და ენერგია, რამდენი მღელვარე ღამე გაათენეს იმ პირველმა გამომგონებლებმა, რომლებმაც კაცობრიობას აჩუქეს თვითმავალი ავტომანქანა — მანქანა, რომელიც თანამედროვე ადამიანისათვის ერთი შეხედვით შეიძლება სასაცილოც კი იყოს. როგორ მწარედ გაცუნდებოდნენ პირველი ენთუზიასტები თავიანთი თვალით რომ ენახათ, თუ რისთვის იყენებს თანამედროვე ცივილიზაცია მათს ოფლსა და შრომას.

... მანქანების კრივი! მოხტუნავე ოთხთვალა! ეშმაკის ატრაქციონი მანქანით! აი რას მიაღწია ადამიანთა „ფანტაზიამ“.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია — მანქანას ენა არა აქვს და მის გაჭირვებას მხოლოდ სხვა თუ შეამჩნევს. საინტერესოა რა აიძულებს ადამიანს გადადგას ასეთი სარისკო და ყოვლად უაზრო ნაბიჯი? სამწუხაროდ, ამასაც თავისი მიზეზი აქვს და იგი იმ საზოგადოების ზნედაცემულობის შედეგია, სადაც ყოველ დღე იბადება მსგავსი აზრები

ავტომანქანების კრივი! მართლაც საოცრებაა. ერთმანეთს ეჯიბრება ორი მძღოლი და გამარჯვება რჩება იმას, ვინც უფრო ადრე ჩააგდებს „ნოკაუტში“ მეორეს. ჩვეულებრივ, კრივში ნოკაუტი გონების წამიერ დაკარგვას გულისხმობს — აქ კი ნოკაუტი უკანასკნელი და გადამწყვეტია, ე. ი. სასიკვდილო. შეერთებულ შტატებში ქალაქ დაიტონის „საასპარეზოზე“ ნოკაუტის გამომწვევი ძალა საათში 100-კილომეტრიანი სისწრაფე იყო. საინტერესო გართობაა, არა?!

აი კიდევ ამერიკული „ავტოსპორტის“ მეორე სახე, რომლის გამოცდილება როგორც ჩანს, აღებულია კორეის სისხლიანი ომიდან. მანქანამ უნდა გაიაროს ალმოკიდებულ კედლებს შუა, მიადგეს ფინიშს, რომელიც სულ ახლოა სახიფათო ზონასთან და დაამუხრუჭოს ზედ ხაზზე ისე, რომ მას არ გადასცდეს. ალში გასვლა ნელ სისწრაფეზე საზიკვდილოა, რადგან საწვავი კასრის აფეთქების შანსი თითქმის 100 პროცენტს უდრის. ხსნა მხოლოდ სისწრაფეშია, მაგრამ მაშინ ირღვევა შეჯიბრებაში გამარჯვების პრინციპი, რადგან მაქსიმალური სიჩქარის განვითარების შემდეგ ზედ ფინიშის ხაზთან დამუხრუჭება შეუძლებელია.

ეს კიდევ არაფერია. შეჯიბრების წესების თანახმად მანქანას არ უნდა ჰქონდეს მინები, მოტორისა და საწვავი კასრის ხუფი კი ახდილი უნდა იყოს. წესების ავტორს „ჰუმანურობაც“ კი გამოუჩენია: მძღოლს უფლება ეძლევა საგანგებო შემთხვევაში საჯდომიდან ამოძვრეს ისე, რომ საჭე ფეხებით მართოს. საგანგებო შემთხვევა გულისხმობს მხოლოდ აფეთქებას. თურმე კაპოტზე მჯდომი ადამიანის სიცოცხლე გადმოხტომის დროს უხიფათოა. ერთი სიტყვით, სულ ერთია ცეცხლი მოგიღებს ბოლოს თუ დაცემა.

ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, ჰენრი უოლტონმა ასეთი შეჯიბრების მონაწილეებს „XX საუკუნის გლადიატორებს“ უწოდა“. მართლაც, ყოველი ეპოქა ქმნის მისთვის დამახასიათებელი ტიპის გლადიატორებს. ასე იყო მონათმფლობელურ რომში, ასე იყო ფეოდალურ მადრიდში.. ასეა კაპიტალისტური სამყაროს მექაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ხაფანგში მომწყვდეულ თაგვივით დაფართხალებენ უმუშევარი მილიონები — მექანიზებული გლადიატორები.

ნ. ახვლედიანი

რედაქტორი ი. უგულავა.

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი იუწყება საკავშირო კატეგორიის მსაჯის ალექსი ვლადიმერის-ძე ტარასევიჩის გარდაცვალებას.

მძლეოსნობის რესპუბლიკური სექცია იუწყება მისი წევრის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ალექსი ვლადიმერის-ძე ტარასევიჩის გარდაცვალებას.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03756